

დანართი 5. სპეციალური რეკომენდაციები წიგნიერების კომპეტენციის განვითარებისათვის დაწყებით საფეხურზე

წიგნიერების კომპეტენციის უნარების განვითარება დაწყებითი კლასის მასწავლებლების საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

მოზარდის, როგორც მოქალაქის, ჩამოყალიბების პროცესში 9-10 წელი მნიშვნელოვანი ასაკია. ამ დროს საფუძველი ეყრება ძირითად საბაზო უნარებს, მათ შორის ყველაზე მთავარს - კითხვის უნარს. დაწყებით კლასებში მოსწავლე ეუფლება კითხვის ტექნიკას, ეცნობა სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, კითხულობს იმიტომ, რომ ისწავლოს, მიიღოს გარკვეული ლიტერატურული გამოცდილება. მას უყალიბდება მხატვრული გემოვნება. კითხვის უნარი უშუალო კავშირშია ბავშვის აზროვნების განვითარებასთან.

წიგნის კითხვა ბავშვებს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობაში, თვალსაწიერის გაფართოებაში ეხმარება. სწორედ ამიტომ სასკოლო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. კითხვის საბაზო უნარის ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში, სასკოლო პერიოდის პირველივე ეტაპზე ხდება და ის ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების განვითარებას, რომლებიც ეფექტური სწავლებისა და სწავლის წინაპირობაა.

ამ მიზნით ტარდება კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- ანალიზის უნარის განვითარებით;
- მსჯელობის უნარის განვითარებით;
- პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

პრიორიტეტული მიზნები:

- ლიტერატურული გამოცდილების მიღება;
- ინფორმაციის მიღება და გამოყენება;
- ექსპლიციტურად, ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა;
- უშუალოდ დასკვნების გამოტანა;
- აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე;
- ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება;
- ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა;
- პერსონაჟის ხასიათის, თვისებებისა და ქცევის მოტივაციის ამოცნობა.

ამოცანები, განსავითარებელი უნარ-ჩვევები.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი ამბის, თემის ამოცნობა;
- მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
- ნაწარმოებში მომხდარი ამბის, მოვლენის, აგრეთვე პერსონაჟის მდგომარეობის, ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;

- საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა; ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისგან გარჩევა;
- გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- ზოგადად წიგნიერებასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და ცოდნის გამოვლენა. საკუთარი აზრის აუდიტორიის წინაშე წარდგინება, დაცვა.

მიმართულებები: ზეპირმეტყველება კითხვა წერა.

კითხვის ხელშეწყობის სტრატეგიები:

- ფონემური ცოდნა
- ენის ასო-ბგერითი მიმართების სწავლება
- კითხვის მოქნილობა
- ლექსიკური მარაგი
- წაკითხულის გააზრება
- ხმამაღლა კითხვა (ამბის მოყოლა)
- „ძვირფასი დრო“ (ანუ „მიატოვე ყველაფერი და იკითხე“)
- საკითხავი მასალის განაწილება („დიდი წიგნი“)
- წყვილებში კითხვა
- ორიენტირებული კითხვის და აზროვნების აქტივობა
- ნიშნების დასმა
- მოაზროვნეები
- სასწავლო ჟურნალი
- ტექსტის ჩარჩოები
- სასწავლო ტესტი
- მკითხველების თეატრი
- ერთობლივი კითხვა
- კითხვის წინასწარი გეგმა
- ორიენტირებული მოსმენის და აზროვნების აქტივობა

ტექსტის ანალიზის მეთოდები:

1. ტექსტის გეგმის განხილვა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);
2. ტექსტის მთავარი გმირების დაჯგუფება მათი თავისებურებების მიხედვით;
3. „ვენის დიაგრამა“ გააზრებულობის განსავითარებლად;
4. სოციოგრამის გამოყენება მთავარ გმირებს შორის დამოკიდებულებების გასაანალიზებლად;
5. თემების გამოყოფა ტექსტის მრავალი კუთხით შესწავლის მიზნით.

რეკომენდებული მეთოდური ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, სკოლის ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებული მხატვრული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები:

1. კითხვის ეფექტური მეთოდები - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
2. წიგნიერება pirls – 2006-2011 წწ.-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
3. ვსწავლობთ ტექსტის გააზრებას - I-II ნაწილი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
4. ზ.ვახანია - მწიგნობრობა ქართული I-II ნაწილი
5. ზ.ვახანია - დედაენა ქართული

5-6 წელი - წიგნები მოკლე ტექსტითა და მარტივი ფაბულით

1. ქართული ხალხური ზღაპრები
2. ირმა მაღაციძე „ქართული ანბანი და ანდაზები
3. სულხან-საბა „იგავარაკები“
4. ძმები გრიშები „ფიფქია“
5. თოვლის დედოფალი
6. ალადინი
7. ურჩხული და მზეთუნახავი

7-8 წელი - წიგნები მარტივი შინაარსით და ლექსიკით

1. ძმები გრიშები „ჩემებიანი კატა და სხვა ზღაპრები“
2. ასტრიდ ლინდგრენი „ლოტა აურზაურის ქუჩიდან
3. ჰანს ქრისტიან ანდერსენი - „ თოვლის დედოფალი და სხვა ზღაპრები“
4. შარლ პერო „წითელქუდა და სხვა ზღაპრები“
5. ნინო ნაკაშიძე - „მახობელა და სხვა მოთხრობები
6. იროდიონ ევდოშვილი - " უბედური ქორბუდა და სხვა მოთხრობები"
7. რევაზ ინანიშვილი - "ბიბო და სხვა მოთხრობები"
8. ნიკო ლომოურის „პაწია მეგობრები“
9. ძმები გრიშები „რაპუნცელი“

9-10 წელი - წიგნები მარტივი შინაარსით და უფრო რთული ლექსიკით

1. ჯანი როდარი „ ჩიპოლინოს თავგადასავალი“
2. ასტრიდ ლინდგრენი „მიო, ჩემო მიო“
3. კარლო კოლოდი „ პინოკიოს თავგადასავალი“
4. არჩილ სულაკაური - „სალამურას თავგადასავალი“
5. ეკატერინე გაბაშვილი „მაგდანას ლურჯა და სხვა მოთხრობები“
6. ასტრიდ ლინდგრენი - „მაწანწალა რასმუსი“
7. ჯანი როდარი „ტელეფონით მოყოლილი ამბები“
8. ასტრიდ ლინდგრენი „ბულერბიელი ბავშვები“
9. ასტრიდ ლინდგრენი „ემილის თავგადასავალი“
10. აკაკი წერეთელი „მოთხრობები“
11. რევაზ ინანიშვილი - დედა და სხვა მოთხრობები
12. ვაჟა ფშაველა - „სათაგური და სხვა მოთხრობები“
13. არჩილ სულაკაური - „ ცისფერი ირემი“
14. თედო რაზიკაშვილი - „მონადირე და სხვა მოთხრობები“
15. იაკობ გოგებაშვილი - „იავნანამ რა ჰქმნა?!”
16. ნოდარ დუმბაძე - "ხაზარულა და სხვა მოთხრობები "
17. "ბურატინოს თავგადასავალი "
18. "რობინ ჰუდი"

11-12 წელი - რთული ფაბულის მქონე სქელტანიანი წიგნები

1. ასტრიდ ლინდგრენი „ დეტექტივი კალე ბლუმკვისტი“
2. ასტრიდ ლინდგრენი „დეტექტივი კალე ბლუმკვისტი რისკზე მიდის“
3. მარკ ტვენი“ ტომ სოიერის თავგადასავალი“
4. ასტრიდ ლინდგრენი „კალე ბლუმკვისტი და რასმუსი“
5. ნოდარ დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
6. არტურ კონან დოილი - „შერლოკ ფოლმსის თავგადასავალი“

7. დანიელ დეფო - "რობინზონ კრუზო"
8. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი "პატარა პრინცი"
9. რობერტ ლუის სტივენსონი "განძის კუნძული"
10. ჯეკ ლონდონი "თეთრი ეშვი"
11. ჟიულ ვერნი "საიდუმლო კუნძული"
12. ჰარიეტ ბიჩერ სტოუ „ბიძია თომას ქოხი"
13. მარკ ტვენი "უფლისწული და მათხოვარი"
14. მარკ ტვენი „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი"

ელექტრონული რესურსები:

<http://www.nplg.gov.ge/geo/e-resources>

http://sitebook.ge/index/el_biblioteka/0-58

<http://el.ge/ge/>

<https://wignebi.org/online-library/>

<http://lib.ge/library>

<http://www.sciencelib.ge/node/694>

წიგნიერების კომპეტენციის უნარის განვითარების მონიტორინგის საშუალებაა სასკოლო შეფასება, რომელიც კვლევის სახით ხორციელდება. კვლევა - საშუალებას იძლევა სწავლების საწყის საფეხურზე შევაფასოთ მოსწავლეთა კითხვის უნარი და ის კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობს ამ უნარის განვითარება (ოჯახი, სასკოლო რესურსები, სწავლების მეთოდოლოგია...)

კვლევის ჩატარება საშუალებას გვაძლევს, გარდავექმნათ და გავაუმჯობესოთ კითხვის სწავლების პროცესი. ამით ხელს შევუწყობთ, ერთი მხრივ, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საშუალო განათლების მომდევნო საფეხურებზე და, მეორე მხრივ, დავეხმარებით მოზარდს სოციალიზაციასა და პიროვნულ განვითარებაში.